## ხელშეკრულება № 35

ქ. თბილისი 7 დეკემბერი 2011 წელი

### ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: ერთის მხრივ ქ. თბილისის №107 საჯარო სკოლის, დირექტორის გიორგი ერაძის (შემდგომში " შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს გნოცას დირექტორის სენსორ ხორბალაძეს (ს/ნ 20001013448) (შემდგომში მომწოდებელი) შორის .

### ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: სკოლისათვის საახალწლო ნაძვის ხის, ნაძვის ხის მოსართავი და გასანათებელი აქსესუარების მოწოდება.

### განსახორციელებელი შესყიდვების ღირებულება

განსახორციელებელი შესყიდვების ღირებულება 967 (ცხრაასსამოცდაშვიდი) ლარი და 80 თეთრი განისაზღვრება ინვოისის (სასაქონლო ზედნადების) მიხედვით, რომელიც არის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

395

### მიწოდების ვადები და ადგილი

მიწოდების ბოლო ვადა განისაზღვრება ხელის მოწერიდან 10(ათი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ადგილად **თბილისი, ლილოს დასახლება №107 საჯარო სკოლა.**

### მხარეთა უფლება-მოვალეობანი

მომწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მიწოდება, იგი პასუხისმგებელია მოწოდებული საქონლის ხარისხზე და დროულობაზე.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მომწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მოწოდებული საქონლის ღირებულება.

### საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

**საქონელი მიღებულად** ჩაითვლება საქონლის მოწოდებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

### ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მომწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს №107 საჯარო სკოლის ტექნიკური მენეჯერი ვ. მელიქიძე.

### ანგარიშსწორება

ანგარიშსწორება მომწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით ინვოისის მიხედვით, რომელიც არის ხელშეკლრულების განუყოფელი ნაწილი, საქონლის მოწოდებისა და შესაბამისი დოკუმენტების გაფორმების შემდეგ.

### მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მომწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პუნქტით გათვალისწინებულივადების დარღვევის შემთხვევაში მას

დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1% ოდენობით.

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელედება შემსრულებლის ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## ფორს-მაჟორული სიტუაცია

ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული სიტუაციების გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

## დავების გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხის ირგვლივ. თუ დამკვეთი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## ხელშეკრულების მოქმედების ვადები

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულებების შესრულებამდე, ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ან რომელიმე მხარის ინიციატივით დასაბუთებული წერილობითი შეტყობინებიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ.

## სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

**შემსყიდველი:**

ქ. თბილისი, № 107 საჯარო სკოლა

ს/ნ 208145345

თბილისი, ლილოს დასახლება

სს ლიბერთი ბანკი ლილოს ს/ც

ანგ№ 34081412255

ბ/კოდი :LBRTGE22

დირექტორი : /გ.ერაძე/

**მომწოდებელი:**

შპს გნოცა

ს/ნ 400006961

თბილისი, კახეთის გზატკ.112

სს პროკრედიტბანკი

ანგ.№ GE05PC0023600100018346

ბანკის კოდი: MIBGE22

/სენსორ ხორბალაძე/